საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-944

02/10/2019

ქ. თბილისი

,,შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-119) ჭრებალო-ნიკორწმინდას საავტომობილო გზის კმ 1 (0+450)-ზე მდ. რიონზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის N2-933 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იყო ,,შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-119) ჭრებალო-ნიკორწმინდას საავტომობილო გზის კმ 1 (0+450)-ზე მდ. რიონზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის'' სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, მიმდინარე წლის 27 სექტემბერს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-933 ბრძანება ,,შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-119) ჭრებალო-ნიკორწმინდას საავტომობილო გზის კმ 1 (0+450)-ზე მდ. რიონზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ''.

ბრძანების მე-5 პუნქტში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ნაცვლად მითითებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, რაც საჭიროებს შესწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-119) ჭრებალო-ნიკორწმინდას საავტომობილო გზის კმ 1 (0+450)-ზე მდ. რიონზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის N2-933 ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.''

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს'';
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი